საქართველოს გაზეთი

მაისს ლ დღესა ჩყით წელსა ტფილისში.

Ho. 13.

# ს ა ნ კ ტ პ ე ტ ე რ ბ უ რ ღ ს

## უმაღლესნი ბრძანებანი.

### აპრილის იე რიცხვსა.

### ჩინებით

პრაპორშჩიკობა დვორიანსკის პოლკის კადეტებს: მაკუცკის, შეტირინსკის, შაევსკის და მუხელოვს ხერსონის გარნიზონის პოლკში, და ლისლავსკი-პოდოლსკის გრუზინის გრენადერის პოლკში, და ლებინს და კოველლევს სუზდალის პოლკში, და გოლომეევსკის და ურბანოვიჩს ვილენლოს პოლკში. პისარენკოს ყაზანის პოლკში. — კრილოვს, იურკევიჩს, ნელაევს და შნუროვს ბელევსკის პოლკში. კალომცოვს მეთხუთმეტე იეგერის პოლკში და სტასიუკს მეთექვსმეტე იეგერის პოლკში.

### აპრილის იჲ რიცხვსა.

განწესდებიან სამსახურსა შინა.

ნიჟეგოროდის დრაგუნის პოლკიდამ გამოსული კაპიტანი მარკოვი ისევე პოლკში. — კაბარდინის პოლკიდამ გამოსული შტაბს-კაპიტანი პროცენკო იმავე პოლკში.

### აპრილის იზ რიცხვსა.

განთავისუფლდებიან სამსახურიდამ სნეულებისა სგამო: ვლადიკავკასიის გარნიზონის პოლკის პოდპორუჩიკი პოპოვი.

### აპრილის ით რიცხვსა.

### ჩინებით

პრაპორშჩიკობა დვორიანსკის პოლკის კადეტებს: მუცკის, ჩერნიავსკის, შებელევს, როსტკოვსკის, ვასილიევს და მენდელევს ტფილისის პოლკში, და რიგოვს პირველს, კიდნიკოვს, ბუციატოვს, კუროვსკის და რიგოვს მეორეს მეათჩვიდმეტე იეგერის პოლკში. —

ისპოლნიტელნის ექსპედიციისაგან მიწოდებულნი არიან ქვემოხსენებულნი მამულები სოფლის მიწადენის, რადგან ისინი საკუთარის ვალების მიუცემლობისათვის დადებულნი არიან საჯაროს გასასყიდად. —

ა. ქვრივი სახლი აზნაურის იოსებ მაღალოვისა ერთის დღის სახნავს მიწაზედ გაკეთებული გორის უეზდის სოფელს მეტეხში იმ ვალისთვის, რომელიც ჰმართებს მას გორელს მოქალაქის სოლომონ კუზანოვის; და მისის გასყიდვის ვადა არის დანიშნული ბ, თ, და იბ იუნისის რიცხვს. —

ბ. გარდაცვალებულის ტფილისის მცხოვრებლის კონია კაღალ ოსიფოვის სახლის ნაწილი ქალაქს ტფილისს პირველს ნაწილის მესამეს კვარტალში იმ ვალისთვის, რომელიც უნდა მიეცეს მოქალაქეს ავეტიქ მანკოვს. — გასყიდვის ვადა არის დანიშნული ვ, თ, და ია იუნისის რიცხვს. —

გ. ყმა თავადთ რევაზ და დიმიტრი მაჩაბლოვთ ნინია მეჯანაშვილი გოგინიძე იმ ვალში რომელიც ჰმართებს მათ ტფილისის მოქალაქის

მირიმან მირიმანოვისა; გასყიდვის ვადა არის დანიშნული კე ივნისს, ე და ზ ივლისს.—

დ. სამის დღის სავალი მიწა აზნაურის ლუარსაბ მირზაშვილისა გორის უეზდის სოფელს შინდისში იმ ვალისთვის, რომელიც ჰმართებს მას გორელი ივანე ბაბალოვისა.— გასყიდვის ვადა არის დანიშნული იზ, კვ და კჱ ივნისს.

ე. თავადის ზაქარია მაჩაბლის ყმა ბექან ელიზაქიძე ცოლით და შვილებით ვაჟით და ქალით გორის უეზდის სოფელს ხვედურეთს მცხოვრებნი იმ ვალში, რომელიც ჰმართებს მას თავადის ორბელიანის ქალის ქეთევანისა და თავადის ავალოვის ქალის გუქასი: მისის გასყიდვის ვადა დანიშნული არის კვ, კჱ და ლ. ივნისის რიცხვს.—

გარდა ამისა

ვ. განცხადებითა ხაზინადრის პირველ ხოვნა ადმირალის სასულიერის ყმის ხოსია მეჯურჯულოვის მამულისა, რომლისამაც წელიწადში შემოსავალი ოცის თუმნის ვერცხლის ფულისა შემოვიდოდეს და მეორე ბოვნა და სადაც ჯერ არს წარგზავნა გაქცეულის მეორე კლასის პიონერის გრიგორი გეროლსკისა; რომლისაც ნიშნები არის, თვითონ ტანად ორი ადლია და ოთხი გრ.; პირად თეთრი, თვალები შავი თმა წაბლის ფერი და ხნით ოცდა ექვსის წლისა არის.—

ამ პოლიციელების ექსპედიციისაგან მოწოდებულნი არიან ქვემოხსენებულის მამულების სყიდვის მოწადენი, რადგან იგინი საკუთარის ვალების მიუცემლობისათვის დადებულნი არიან საქვეყნოს გასასყიდად.

ა. სახლისა და ბაღის ნაწილი სომხის სვიმონა ასრიკოლოვისა ელისავეტპოლის ქალაქში ქილისაქანდს მიკერტუმას ქუჩაში იმ ვალისთვის, რომელიც ჰმართებს მას კოლლეჟსკის რეგისტრატორის ივანე ზარაფოვისა; იმათის გასყიდვის ვადა დანიშნული არის ივნისის თე, კვ და ლ რიცხვს.

ბ. ორი კომლი გლეხნი თავისის მამულით თავადთ ბეჟანოვთი გარდაცვალებულის პეტრასი და ნიკოლოზისა, მცხოვრებნი გორის უეზდის სოფელს ქარელს იმ ვალში, რომლისაც მისაცემნი არიან ტიტულარნის სოვეტნიკის ჭილაევის შვილის პრაპორშჩიკის ჭილაევისათვის; მათის გასყიდვის ვადანი დანიშნული არის ივნისის კე და ივლისის ე და ზ რიცხვს.

გ. სახლი მეფლის შენობით და ცარიელის ადგილით ღვინის ტრეტენის, სტატსკის სოვეტნიკის თავადის ევსტათი ციციანოვისა ტფილისის ქალაქს პირველის ნაწილის მესამეს კვარტალში იმ ვალისათვის, რომელიც ჰმართებს მას თავადის გიორგი ამატუნისა; მისის გასყიდვის ვადა არის ბ ი და ლა ივნისის რიცხვს.—

დ. სამი კომლი ყმა თავადის იოსებ შალიკოვისა გორის უეზდის სოფელს სკრას მცხოვრებნი თავადისავე როსტომ შალიკოვის ვალში.— მათის გასყიდვის ვადა დანიშნული არის ი, კგ და კე ივნისს.—

გარდა ამისა.

ე. მოწოდებულნი არიან კავთის ზვრების იჯარის აღების მოწადენი რომელნიც მიბარებულები აქვს სმოტრიტელს მიღდასუზენს, თელავის ქალაქს და მთიულეთის უეზდში, ურიათუმანისა, ზემოხოდაშენისა, ორი ახმეტური და ხილნალის უეზდში: ორი მანაური ერთი დიდი და მეორე პატარა, გურჯაანისა, ვაქირისა, კარდანახისა და სამი საეგნახე ალაგი მაჩხაანში და ვთოდევნივე მირზაანში; ამა რომ ვისაც ნებავს მათი იჯარით აღება უნდა გამოცხადდენ რომელ-

საც მოინდომებენ ხაზინის ექსპედიციაში მოსარიგებლად და პირობის მოსასმენლად კეთილ-საიმედოს გირაოებით; თუ უეზდის მცხოვრებნი ვერ შეიძლებენ ექსპედიციაში გამოცხადებას, მაშინ უნდა მივიდნენ თელავისა და სიღნაღის ოკრუჟნის სასამართლოებში.—

და ვ. ეცხადებათ საზოგადოდ პოვნა და გაგზავნა იმერეთის კამიერს მმართებლობაში აზნაურის ჯავრა დავლარიანის ყმის გოგია შერიკაძისა რომლისაც ნიშნები ეს არის: თვითონ დიდის ტანისა არარის, ჩასხმული კაცია თავზედ თმა და ულვაში ქერა აქვს, წვერს იპარსავს, ჭრელ-თვალაარის და ხნით ლე. წლისა იქმნება.—

## [illegible] ამბავი ქალის მარიამისა

რაოხვასა ამასთანა ანაზდად თვალ წინ წარმომიდგა სახე ადოლფისა, მიუწდომელის სისწრაფით ყმაწვილობის სასურველის სიშორიდამ მოსული? საშუალ მეზობელთა საზოგადოებისა მხოლოდ ჩვენ ვიყავით თანასწორნი წლისანი, განუშორებელნი შექცევათა შინა ჩვენის ჰასაკისათა და კავშირი ჩვენი უფრო მტკიცე შეიქმნა თანა-შეერთებულისა ერთისა კეთილ-მიდრეკილებისა ქვეშე მოქმედებისა და ჰხატვისა მუზიკასა და მხატრობასა შინა მეტად გვიყვარდა ჩვენი ერთმანეთი დაშორება და ჩვენ დაშორებით არა სხვაფრივ არამედ ერთმანეთის ალუთქვით არას დროს დაუვიწყებლობა ერთმანეთისა.— შემდგომად ადოლფი მალე მიხცეს სასწავლებელში; და იქიდამ გაგზავნეს უნივერსიტეტში; დასასრულ გაისტუმრეს მოგზაურობად; რამდენიმე წელიწადი მე იმისაგან არარა მსმენიარა, და მხოლოდ მეირად მოვაგონებდი ხოლმე საამურს სიზმარსავით: აწ უეცრად გავჰხა ღრუბელი რომლითაც დრო და შორს [illegible] მისს სახეს ჰფარვიდა; საკვირველად შემიპყრა ეს ჰაზრმან მისმან, და მეც ვიგრძენ ძლიერი ნდომა ვეძიო ჩემის ყმაწვილობის ამხანაგის ნახვისა; ნელიადი ოცნება ჩემ შორის შემოვიდა, და მეგონა რომელ უცნობელი შიში, რომელიცა ხშირად შემაწუხებს ხოლმე უთუოდ გაქრებოდამცა დასწრებასა შინა ამა ჩემისა მეგობრისასა.—

მეორეს დღეს ჩემს მარტოობაში ვიყავ ბაღში ვეიან სადამომდის სასიამოვნო სუნნელოვანი სითბო ჩამოდიოდა მიწასა ზედა ღრუბლიანის ციდამ, და ყოველნი ყვავილნი, ყოველნი კოკორნი განცხოველდებოდენ კეთილ-მოქმედებისანითა მისითა მოქმედებითა. მყუდროება უზღუდველი ყოველს ბუნებასა შინა. ვჰგრძნობდი მე განუცხადებელსა ბედნიერებასა და შევიქმენ ესოდენ შეურყეველი რომელ ვიდრე ეს ესტიროდიცა და რისთვის თვით მე არ-ვიცოდი შემომესმა ბიძის ჩემის ხმა რომელიც ახლოს დასურვილს ხეივანში იყო, მივარდი მასთან მისაგებებლად,, აი მოგგვარე მე შენ სტუმარი, მითხრა მან მღიმარად და შემოღზედ კელი წამისვა: მაგრამ შენ უნდა შეიტყო, ეს ბატონი კაცი ვინ არისო. მე შევხედე, ჩემს წინ იდგა კაცი კეთილ-შობილის შესახედავისა. პირის სახე ყმაწვილისა ჰქონდა მაგრამ შეხედულობა ხნიერს კაცს მიუგვანდა. მისს მშვენიერს შავს თვალებში გამოიხატებოდა მენაწილეობა ჩემს-ვამო განკვირვება მოულოდნელობისაგან; და შემდგომად პირველისა მოკითხვისა ჩვენ რაოდენიმე წამი ვიდგით სიტყვის უთქმელად; რა ჰქმენო? მკითხა ბიძა ჩემმა.— მე მიუგე: უკეთუ წინასწარი გრძნობა მე არ შემაცთუნებს მაშ ვჰგონებ, რომელ მაქვს კმაყოფილება ჩემის ყმაწვილობის ამხანაგის ნახვისა;; მართალია იცანი, ბიძამ ჩემმა მომამასა ადოლფმა მრწმუნებელობით გამომართვა კელი ,, სასურველო წუნარო მარიამ? მითხრა მან როგორ მიხარია, რომელ კიდევ მე თქვენ გხედავთ და ჰსწორედ ერთის გარემოების გამს რომელიც მარად ჩემთვის უტკბილესი ოცნება იყო.— რისგან გაჰნითლდი, საყვარელო კაროლინავ რი-

სცან ვიგრძენ მე რომელიმე ხაჯ-ისარი გარნა
ერთბამად მისა სასიამოვნო შეძლოლობა: შენ
იცი როგორ ამ ჟამამდის ვერიდებოდი მე ყოველ-
თა ვაცთა და ან როგორ მიხდოდა. მათგან ჩემის
თავის შეუმეცნებელობა. ტაბილი ზრუნვა სიყ-
ვარულითაცა ჩემით და სამხიარულითაცა გასაო-
ხიარულებულად მოხუცებულებისა ფრიად ძეილისა
ბიძისა ჩემისა და შენი მეგობრობა ესრეთ ადავ-
სებდენ გულსა ჩემსა, რომელ არცადა მცირედ
ვგრძნობდი მე სურვილსა, რომელ ამაზედ მეტი-
და სიყვარული და ბედნიერება მქონოდა. საქვეყ-
ნოდ ცნობილ-ნაქებული ხიმხიარულე მე არ ვიცი,
ადრიდგანვე მე ერჩივე ალალ-მართლობასა და
მარტო ყოფნას, ოდეს გარდმოვესახლე ჩემს
ბიძასთან თვით დასაწყისითგანვე ესრეთ ვჰსც-
ხოვრებდი მისთვის რათამცა მოვრჩენილ-ვიყავ
შეაწუხებელის ხმის-დავარდნისაგან, ვითამც
სიყვარულსა ჩემსა მისდამი ვჰყიდი ელკარებისა
და მეღიდურობისათ; მაგრამ შემდ-
გომად მსწრაფლად შემიყვარდა
ჩემი ეს გვარი ცხოვრება და შემიძლიან ვჰთქვა
რომ ამა შემთხვევასა შინა არა ჩვეულება
გარდიქცა ჩემ შორის ბუნებად არამედ ბუნება
ჩემი ყოველთვის ესრეთი იყო; და რომ თვით
ჩემს სიალა მარტოლე შინა სხდევენ ხურსიანობას,
ყოველს ჩემს ქალაქ-ყოფას ჰრაცხვენ მიზეზად
მზაკვრებითისა ჰაზრისა მისადებელად მემკვიდრე-
ობისა შემდგომად გარდაცვალებისა ბიძისა ჩე-
მისა, რომ მე მისთვს მმცდლობენ, შეურაცხ-
ჰყოფენ, გულითადსა მორჩილებასა თავაზი-
ანობასა ჩემსა, მიმიღებენ ხოლმე გულგრილად:
შენ იცი რა კარგელინა? ვითარ ყოველმან
ამან მცირედ მცირედ შეიყვანა ჩემს ხასიათში
საიდუმლო მწუხარება და მოუხსენებელი შიში
რომელიცა ხშირად იყო ხოლმე მიზეზად შენისა
ჩემთვის შიშნეულებისა; შენ გეშინოდა, რათა
გული ჩემი მათგან არ შექნილ-იყო განმეორნე-
ბული მეტად და მწუხარებისა მეტად მგრძნობელი.

რათამცა მათ არ მოეკლათ ჩემთვის სიმხნე ჩე-
მის თავის მოვლისა და რათამცა მე არ დამეკარ-
გა თავისუფლება ჩემი; არ შემიძლიან ვიშიშ-
ვოდე ამა საქმისაგან, რადგან ვერ ვჰხედავ
მას; და გარდა ამისა მე ვჰგრძნობ ჩემ შორის
რომელსამე უმარჯვეობას კაცთათანა ქცევაყო-
ფაში, რადგან არაფერი არა ვიცოდა ქვეყანა-
ზედ გარდა ჩემის წიგნებისა და ბიძისა ჩემისა
უწინდუმცა ჯერ იყოს ჩემი უკრცელესს საზო-
გადოებაში შესვლა, ცხოვრება კაცთათანა, რო-
მელნიცა არა იქმნებიან თანაზიარნი ჩემთანა
საიყვარულოს ჩემის მოქმედებისა და მიდრეკილე-
ბისა; რაც კარგლინავ მე მაშინ ფრიად უბედუ-
რი შევიქნები; და ამისთვს სხვერი ჩემის ყო-
ველთვს მარტოობისა არ მაშინებს მე.— უეჭ-
ველად ბიძა ჩემი არ მოინდომებს ჩემს დაჭერას;
სიყვარული მისი მხიარულად მეტყვის მე, წადი
ღმერთი იყოს შენთანა, შეირთე ეს კაცი,
თუ იმედი გაქვს მასთან მეუღლეობით ბედნიე-
რებისა მაგრამ ჩემი გული მოითხოვს კარგლინ-
ავ რომ იმას აქამდის საქმე არ გაუწყვიტია ჩემ-
თან გამოსალმებით: იმას უყვარს-ვარ მე ყოვე-
ლს თავის შვილის შვილებს ქალებზედ მეტად;
და მე მათგანს ვერც ერთს ვერა ვჰხედავ
რომელსაც შეეძლოს მასთან ჩემსავით ადგილი
დაიჭიროს და ან ვინ იქნება ისე მე შემიყვარის
როგორც მემას უყვარს-ვარ.— მინდოდა შენთვის
და ჩემთვისაც გამომეცხადებინა ის შეძლოლობა
რომელმაც შემიპყრა, მე პირველ საღამოს ადოლფის
ნახვასთან სხვებრ იგი ჩქარა გაქრა; როდესაც
იმან დაიწყო ლაპარაკი ყმაწვილობის ჩვენის მეგო-
ბრობისა არა იმაულებული დაუფარაობა მისი და
თავაზიანობა იყვნენ მიზეზად ჩემის შეძლოლო-
ბისა; იმათვეჯი განმამხნევს მე: ადოლფი ჩემთვის
უცხო კაცი არ არის და ჩვენი ცნობა არც ახლა
დაიწყო, არამედ განახლდა.

(ამის შესრულება შემდგომში იქმნება)